ISTORIALI

# ისტორიალი







## საქმიანობის შესახებ

“**ისტორიალი**” 2012 წელს ჩამოყალიბდა, როგორც სოციალური ბიზნესი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში მოქმედი პროგრამის ფარგლებში. მათი **სოციალური მისიაა** ქართული კულტურის, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის სექტორის ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა და ცნობადობის ამაღლება.
დღესდღეობით „ისტორიალი“ უკვე წარმატებული და ცნობილი ბრენდია, რომლის პროდუქციასაც ხშირად ჩუქნიან სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციებსა თუ საპატიო სტუმრებს.

## პროდუქცია

„ისტორიალში“ საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის თემატიკის გარშემო იქმნება გამოყენებით-დეკორატიული და სასაჩუქრე პროდუქცია. “ისტორიალის” პროდუქციის ჩამონათვალში რამდენიმე ხაზია,
კერძოდ:

- **ქალისა და მამაკაცის სამკაული**
- **მცირე დეკორატიული ქანდაკებები**
- **სუფრის აქსესუარები**
- **საოფისე აქსესუარები**
- **ისტორიულ-დეკორატიული თასების ასლები**

“ისტორიალის” კოლექცია 200-მდე ნივთს აერთიანებს, რომლებიც შექმნილია ლითონმქანდაკებლობის (ვერცხლი, თითბერი, ბრინჯაო), კერამიკისა და ტექსტილზე ბეჭდვის ტექნოლოგიებით.











## სოციალური შედეგები

- “ისტორიალში” დასაქმებულია 25-მდე ოსტატი, რომლებიც ემსახურებიან კოლექციის შექმნას
- მიღებული შემოსავლით მნიშვნელოვნად განვითარდა ტრადიციული რეწვის სექტორი
- განხორციელდა სხვადასხვა პროექტი მიმართული საქართველოს კულტურის შესახებ
- განხორციელდა სხვადასხვა პროექტი მიმართული საქართველოს კულტურის შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისკენ
- კულტურის სექტორში გაჩნდა ბიზნეს მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს სფეროს მდგრადობას გრძელვადიან პერსპექტივაში



**www.gaccgeorgia.org**

**0 32 2 921 335**

**info@istoriali.ge**

**https://www.facebook.com/ISTORIALI/**

**ნიკო ნიკოლაძის N7, თბილისი, საქართველო**

